



რესურსეფექტური და სუფთა წარმოების განვითარება საქართველოში

რესნ მეთოდოლოგია

რესურსეფექტურობა და სუფთა წარმოება (რესნ) წარმოადგენს პროდუქციის წარმოების პროცესებში და სანარმოო სერვისებში ინტეგრირებულ უწყვეტად გამოსაყენებელ პრევენციულ გარემოსდაცვით სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტურობის გაუმჯობესებას და ადამიანებსა თუ გარემოზე რისკების შემცირებას. რესნ - გულისხმობს წარმოებას ნაკლები რესურსებით, გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციას და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდას. **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის** რესნ მეთოდოლოგია ეფექტური საშუალებაა წარმოების ხარჯების შესამცირებლად, მათი კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად, ეკოლოგიურად სუფთა მიდგომების გამოსაყენებლად, სანარმოებში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დასაწერგად და პოპულარიზაციისთვის.

შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ - ჩირის წარმოება



კომპანიის მიმოხილვა

მდებარეობა: მცხეთა, მცხეთა-მთიანეთის მხარე

პროდუქცია: ჩირი

თანამშრომლების რაოდენობა: 35

ძირითადი ბაზრები: 50% საქართველო, 50% ექსპორტი


დაარსების წელი: 2011

სერტიფიკატები: ISO 9001



„კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ არის ჩირის მწარმოებელი კომპანია. მისი პერსონალი აქტიურად იყო ჩართული რესნ კლუბებთან დაკავშირებულ აქტივობებში, მათ შორის ტრენინგ კურსებზე, რომლებიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: გარემოსდაცვითი პროფილი, ენერგოეფექტურობა, წყლის და ქიმიკატების რაციონალურად მოხმარება და ჩამდინარე წყლების მინიმიზაცია, მასალების ეფექტურად გამოყენება, სანარმოო ნარჩენების და სახიფათო ნარჩენების შემცირება. კურსის დასასრულს კომპანიამ შეიმუშავა რესნ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა ხუთ რესნ ღონისძიებას. პანდემიის გამო სანარმოსთვის რთული იყო შიდა ფინანსური რესურსების მოპოვება და ინვესტიციების ან შესაბამისი სესხების მოძიება რესნ ღონისძიებების განსახორციელებლად. რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ენერჯის მოხმარების შემცირების მოტივით, კომპანია მონაწილეობდა EU4Environment-ის მიერ დაფინანსებულ რესნ კლუბების პროგრამაში (2019-2024). წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია კომპანიის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

რესნ ღონისძიებების განხორციელებით მიღებული სარგებელი



პროექტის მიდგომა

რესნ შეფასების ფარგლებში შესწავლილ იქნა სანარმო და შემუშავდა საშუალო ღირებულების რამდენიმე ღონისძიება, რომელთაგან პრიორიტეტული იყო შემდეგი ხუთი:

რესნ ღონისძიება 1. მზის ფოტოელექტრული სისტემის მონტაჟი: 100 კვტ სიმძლავრის მზის პანელების დამონტაჟება შეამცირებს კომპანიის დანახარჯებს ელექტროენერგიაზე ასევე შეამცირებს CO₂ ექვ. ემისიებს.

რესნ ღონისძიება 2. შენობის სახურავისა და კედლების დათბუნება. ღონისძიება მოიცავს ერთმაგი შემინვის ფანჯრების შეცვლას ორმაგი შემინვის მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, რაც დაზოგავს გასათბობად საჭირო ენერგიას და შეამცირებს CO₂ ექვ. ემისიებს.

რესნ ღონისძიება 3. ენერგომონაცემების მონიტორინგისა და ანალიზისთვის სამეთვალყურეო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების (SCADA) სისტემის დაყენება: ეს სისტემა გამოიყენება სამრეწველო პროცესების და დანადგარების კონტროლისა და ანალიზისთვის. აღნიშნული სისტემა ხელს შეუწყობს წარმოების პროცესის დისტანციურად მართვას, მონაცემთა მონიტორინგისა და ანალიზის გაუმჯობესებას, ასევე ტექნიკური მომსახურების სამუშაოების დაგეგმვას.

რესნ ღონისძიება 4. მზის წყალგამაცხელებელი სისტემის მონყობა, რომელიც დაზოგავს წყლის გათბობისათვის საჭირო ენერგიას და შეამცირებს CO₂ ექვ. ემისიებს.

რესნ ღონისძიება 5. ხილის ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება (სათბობად გამოყენების მიზნით): ეს ღონისძიება გულისხმობს ბიომასის ნარჩენების სხვა დანიშნულებით გამოყენებას; მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ისეთ პირზე ვინც მას სათანადოდ გამოიყენებს.

დანაზოგები

რესნ ღონისძიებები

ღონისძიება 1	მზის ფოტოელექტრული სისტემის მონტაჟი
ღონისძიება 2	შენობის სახურავისა და კედლების დათბუნება
ღონისძიება 3	SCADA სისტემის დამონტაჟება მონიტორინგისა და ანალიზისთვის
ღონისძიება 4	მზის წყალგამაცხელებელი სისტემის მონყობა
ღონისძიება 5	ხილის ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება (სათბობად გამოყენების მიზნით)

ეკონომიკური მაჩვენებლები

რესნ ღონისძიებები	ინვესტიცია (ევრო)	დანაზოგები (ევრო/წელი)	უკუგების პერიოდი (წელი)
ღონისძიება 1:	90,000	13,175	6.8
ღონისძიება 2:	5,063	6,614	0.8
ღონისძიება 3:	9,000	1,367	6.6
ღონისძიება 4:	30,000	8,122	3.7
ღონისძიება 5:	/	329	/

რესურსების დაზოგვა

რესნ ღონისძიებები	ელექტროენერგია (კვტ/წ)
ღონისძიება 1:	170,000
ღონისძიება 2:	261,860
ღონისძიება 3:	16,575
ღონისძიება 4:	321,555
ღონისძიება 5:	12,750

გარემოზე ზემოქმედების შემცირება

რესნ ღონისძიებები	სულ CO ₂ ექვ (ტონა/წ)
ღონისძიება 1:	23.8
ღონისძიება 2:	52.9
ღონისძიება 3:	2.3
ღონისძიება 4:	65
ღონისძიება 5:	2.6

რესნ პროექტი განხორციელდა UNIDO-ს მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment Action-ის ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კომპანია „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ შეუერთდა რესნ კლუბების პროგრამას. რეკომენდებული რესნ ღონისძიებების განხორციელების გადამონშების მიზნით სანარმოში მოეწყო მონიტორინგ ვიზიტები. EU4Environment გარემოსდაცვითი ქმედებების დემონსტრირებით და მხარდაჭერით ეხმარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს საკუთარი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში, ადამიანების კეთილდღეობის გაზრდაში, ენ მწვანე ზრდის შესაძლებლობების გამოყენებაში და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების ჩამოყალიბებაში. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.eu4environment.org

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის პირობების მიხედვით.



გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
ქ-ნ ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
ტელ: +43 1 26 0 26 5520
ელ-ფოსტა: t.chernyavskaya@unido.org



ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
თბილისი 0160, დ. გამრეკელის ქ. 19, მე-6 სართული, ოფისი 611.
ტელ: +99 53 2224 25 42
ელ.ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებ-გვერდი: www.recp.ge